



## სარემონტო ბლოკისთვის სპლიტ-სისტემის შესყიდვისა და მონტაჟის ტექნიკური დავალება

### 1. მოთხოვნები მიწოდებული საქონლის ხარისხზე

1.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ახალი, გამოუყენებელ პროდუქცია (დაუშვებელია საგამოყენო ნიშნულების, აგრეთვე გამოყენებული და/ან აღდგენილი მასალით, აგრეგატებით და დეტალებით დამზადებული შედგენილი/აწყობილი პროდუქციის მიწოდება).

1.2. მიწოდებული პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ-ტექნიკური საპროექტო დოკუმენტაციას და დამოწმებული უნდა იყოს მიწოდებული პროდუქციის დადგენილ მოთხოვნილებასთან ერთად იყოს დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი, ნიშანთვისება სერტიფიკატი, იგივეობის დეკლარაცია ან მწარმოებლის სხვა დოკუმენტი).

**1.3. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარადგინოს სტანდარტთან შესაბამისობის დოკუმენტები.**

1.4. კონდიციონერის კორპუსზე მიმაგრებული უნდა იყოს სამარკირებო ცხრილი დანადგარის მარკის, სერიული ნომრის, მოკლე ტექნიკური მახასიათებლების და მწარმოებლის სავაჭრო ნიშნის მითითებით;

### 2. პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნები

2.1. პროდუქტის უსაფრთხოება უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს და წესებს, სანიტარულ ნორმებს, ხანძარსა-წინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს. საქონელი უნდა პასუხობდეს კონკრეტული პროდუქციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო.

2.2. ჩვეულებრივ პირობებში მისი გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება და უტილიზაცია უსაფრთხო უნდა იყოს მომხმარებლის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, გარემოსთვის, ზიანს არ უნდა აყენებდეს მომხმარებლის ქონებას, არ უნდა იყოს მავნე ნივთიერებების გამოყოფის წყაროს.

### 3. საქონლის საექსპლუატაციო მახასიათებლების მოთხოვნები.

3.1. მიწოდებული საქონელი უნდა ფუნქციონირებდეს შემდეგ პირობებში:

- ელექტრო ქსელის პარამეტრები – 220/380 ვ  $\pm$  10%, 50 ჰვ  $\pm$  1 ჰვ

- გაგრილების რეჟიმში სამუშაოდ გარე ჰაერის ტემპერატურა  $\pm 0^{\circ}$  C-დან  $+40^{\circ}$  C-მდე;

- გარე ჰაერის ტემპერატურა გათბობის რეჟიმში სამუშაოდ  $-10^{\circ}$  C-დან  $+40^{\circ}$  C-მდე (თუ რეჟიმი გათვალისწინებულია მოდელით);

- მტვერიანობა 0,9 გ/მ<sup>3</sup>-მდე;

3.2.საქონლის მუშაობის დროს წარმოქმნილი ხმაური არ უნდა აღემატებოდეს ამ ტიპის საქონლის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს;

3.3.საქონლის მუშაობისას ელექტრომაგნიტური გამოსხივება უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს;

**4. მიწოდებული მოწყობილობის ტექნიკური მოთხოვნები და მონტაჟის პირობები**

№	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	დაყენების ადგილი
5.1.	<p>ტიპი - კედლის სპლიტ-სისტემა                      მომსახურების ფართობი - 220მ<sup>2</sup>                      ინვენტორი (სიმძლავრის მდორედ რეგულირება) -                      დიახ                      შიდა ბლოკის ხმაურის დონე (მინ) - 24 დბ                      შიდა ბლოკის ხმაურის დონე (მაქს) -                      33 დბ</p>	სარემონტო-მექანიკური საამქროს შენობა
5.2.	<p>ნაგებობის ტიპი სენდვიჩ-პანელებით                      აგებული ბლოკი                      კედლის სისქეს -11სმ                      მომსახურების ფართობი - 220 კვ.მ.                      მუშაობის რეჟიმი - გაგრილება/გათბობა</p>	სარემონტო-მექანიკური საამქროს შენობა

**5. საგარანტიო ვადის მოთხოვნები და საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი გარანტიის მოცულობა**

5.1.მთელი მიწოდებული საქონელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარანტიით შემდეგი ვადების განმავლობაში:

- მწარმოებლის გარანტია მიწოდებულ საქონელზე 12 (თორმეტი) თვიდან;
- მწარმოებლის გარანტია საქონელზე და ჩატარებულ სამონტაჟო და გამშვებ-გასამართ სამუშაოებზე ვადით არანაკლებ ვიდრე მწარმოებლის მოქმედი საგარანტიო ვადისა.

5.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში საქონლის მომსახურების, თუ ეს გათვალისწინებულია მოცემული საქონლის მწარმოებლის ტექნიკურ დოკუმენტაციაში და აგრეთვე საგარანტიო ვადის დადგომისას საქონლის სამონტაჟო და გასამართი სამუშაოების ხარჯებს გასწევს მიმწოდებელი.

5.3.გარანტია ვრცელდება მთელ საქონელზე და მის ყველა შემადგენელ ნაწილებზე.

**6. საქონლის მონტაჟის მოთხოვნები**

6.1. მომწოდებელი ასრულებს სამონტაჟო და გამშვებ-გასამართ სამუშაოებს მხოლოდ მითითებული ნაწარმისთვის.

6.2. საქონლის ხარისხიანი მონტაჟისა და გამშვებ-გასამართი სამუშაოების ჩასატარებლად მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მაკომპლექტებული და სახარჯი მასლის არსებობა

6.3. საქონლის მონტაჟის ადგილი, დრო და თარიღი შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან.

6.4. საქონლის მიწოდებასთან, მონტაჟთან დაკავშირებული ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები (მათ შორის სართულზე ატანა) და დამკვეთის შესაბამის სათავსოში მათი განთავსება ხორციელდება დამკვეთის ძალებით.

6.5. სპლიტ-სისტემის შიდა ბლოკის დაყენება ხდება ინსტრუქციის და ამ აღჭურვილობის განთავსების რეკომენდაციების შესაბამისად

6.6. სპლიტ-სისტემები გარე ბლოკი მონტაჟდება მწარმოებლის რეკომენდაციების ფარგლებში დამკვეთთან შეთანხმებით. საჭიროების შემთხვევაში გარე ბლოკ სპლიტ-სისტემების მონტაჟი ხორციელდება ამწე მექანიზმების გამოყენებით.

6.7. მონტაჟი უნდა ხორციელდებოდეს მწარმოებლის მიერ რეგლამენტირებული მეთოდებით საქონლის გარანტიის დაურღვევლად.

6.8. კონდიციონერის მონტაჟის დროს სრულდება შემდეგი იპერაციები:

- სპლიტ-სისტემის გარე და შიდა ბლოკების მონტაჟი;
- ფრეონის მილსადენის მონტაჟი (მათ შორის მილში (ხოკერში));
- ბლოკთაშორისი ელექტრო კაბელის მონტაჟი (მათ შორის მილში (ხოკერში));
- ფრეონის მილსადენიდან ჰაერის მოშორება;
- მაცივებელი აგენტის კმაგაწყობა
- კონდიციონერის საცდელი გაშვება

6.9. კონდიციონერის ბლოკების დამაგრება

- სპლიტ-სისტემის შიდა ბლოკი მონტაჟდება სათავსოში, სათავსოს დიზაინის და ფუნქციონალური მოთხოვნების გათვალისწინებით, მეტალის კონსტრუქციაზე იატაკიდან არანაკლებ 4 მეტრის სიმაღლეზე. დამაგრება ხდება მკაცრად დონის (თარაზოს) მიხედვით.
- სპლიტ-სისტემის გარე ბლოკის მონტაჟი ხდება ადგილზე, რომელიც მოხერხებული იქნება შემდგომი მომსახურებისთვის. მის დასამაგრებლად გამოიყენება გარე ბლოკის წონაზე გათვლილი სპეციალური კრონშტეინები და ჭანჭიკები.

6.10. ფრეონის მილსადენების მონტაჟი:

- მილსადენი მოთავსებულია დეკორატიულ მილში (ხოკერში) მილების დაჭრა, მოღუნვა, ნაპირების გასუფთავება და გავალცვა სრულდება სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით (მილსაჭრელი, მილსალუნი, საშაბრავი, სავალცავი).

6.11. ელექტრული შეერთებების, სადრენაჟე მილსადენების მონტაჟი

- სათავსოს შიგნით ფრეონის მილსადენი, ბლოკთაშორისი ელექტრო კაბელი და სადრენაჟე მილსადენი თავსდება ერთ მილში (ხოკერში). გარე კედლის ღიობში მილსადენების გაყვანის შემდეგ, სამონტაჟო ქაფით ხდება ღიობის ჰერმეტიზაცია.

6.12. გაშვების შემდეგ სისტემის მუშაობის ტესტირება ხდება ყველა რეჟიმში. ტესტირების დროს იზომება ქსელში ძაბვა, კონდიციონერის ელექტრომომხმარება, მაცივებელი აგენტი, შიდა ბლოკიდან შემავალი და გამომავალი ჰაერის ტემპერატურა. საჭიროების შემთხვევაში ხდება მაცივებელი აგენტის კმაგაწყობა.

6.13. გამშვებ-გასამართი სამუშაოების დასრულების შემდეგ მომწოდებელი დამკვეთის წარმომადგენელს აბარებს მოწყობილობას.

## 7. მომსახურების მოთხოვნები

განიხილული იქნას სისტემის მომსახურების შესაძლებლობა მომსახურების მომწოდებლის ძალებით.

## 8. სამუშაოების შესრულების ადგილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბექთაქარის რაიონი, კომპანია RMG Auramine-ს ბექთაქარის მაღაროს საწარმოო მოედანი

## 9. მოთხოვნები სამონტაჟო კომპანიის მიმართ

საცივარ-კომპრესორული მოწყობილობების მონტაჟის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. კვალიფიციური პერსონალის არსებობა. სამონტაჟო სამუშაოების ჩატრების დროს აუცილებელია მიმწოდებლის პერსონალის მიერ დაცის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენება (სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, თვალების და ხელების იდს)

## 10. პროდუქციის მიწოდებისას მყიდველისთვის/ტვირთის მიმღებისთვის ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნა

სავალდებულო თანმხლები დოკუმენტაცია:

- **მონტაჟის სახელმძღვანელო**

- **ელექტრონული სქემები**

- პასპორტი (ექსპლუატაციის სახელმძღვანელო)

პასპორტში (ექსპლუატაციის ინსტრუქციაში) მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

-მწარმოებელის სავაჭრო ნიშანი და დასახელება

- კონდიციონერის პირობითი აღნიშვნები

- რემონტის და ტექნიკური მომსახურების დოკუმენტაცია (დასაშვებია ცალკე დოკუმენტის ან პასპორტში(ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში). ჩანაწერის სახით).